ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7750479

ნომერი: AR11119887

თარიღი : 02.12.2025

გაცემის თარიღი : 23.12.2025

გაცნობის თარიღი : 24.12.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა, N 16ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ბენდელიანი პ/ნ 01024002362
- თბილისი საირმის ქ. კორ. 8 ბ. 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ:

იგაითვალისწინეთ, რომ იმ ობიექტთა/სამშენებლო სამუშაოთა ნუსხა, რომელთა მშენებლობა/რეკონსტრუქცია/მონტაჟი/დემონტაჟისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცემა მშენებლობის ნებართვა/შეტყობინება, განსაზღვრულია "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილებით.
ამასთან, საჭიროა წარმოდგენილ იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

1. დათარიღებული, უახლესი ფოტომასალა (ინტერიერის და ექსტერიერის) ექსტერიერის ფოტომასალაზე მოინიშნოს საპროექტო არეალი ;

2. სრულყოფილი ანაზომი და საპროექტო გეგმა, საკომუნიკაციო შახტების, ფუნქციებისა და ექსპლიკაციის მითითებით, ხელმოწერილი შემსრულებლის მიერ;

3. შეთანხმებული პროექტის შესაბამისი სართულის გეგმა მშენებლობის ნებართვის ბრძანების ასლთან ერთად ან ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული სართულის გეგმის ასლი, საპროექტო არეალის მონიშვნით;

იმ შემთხვევაში თუ არსებული ანაზომი განსხვავდება ზემოაღნიშნული გეგმებისაგან (განხორციელებულია ისეთი სამშენებლო სამუშოები, რომელიც საჭიროებს მშენებლობის ნებართვის მიღებას), საპროექტო ფართი მოყვანილ უნდა იქნას პირვანდელ მდგომარეობაში ან წარმოდგენილ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული აქტი სამართალდარღვევის შესახებ და შესაბამისი ჯარიმის გადახდის ქვითარი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული განმარტებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ სამსახური მიიღებს საკითხის შემდგომი განხილვის შესახებ გადაწყვეტილებას, დამატებით წარმოსადგენი იქნება:"

-ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების შესაბამისად მომზადებული საექსპერტო დასკვნა, იმასთან დაკავშირებით, რომ საპროექტო სამუშაოების განხორციელების შედეგად არ ხდება შეუსაბამობის ხარისხის ზრდა;

საჭიროების შემთხვევაში : ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა ჩასატარებელი სამუშაოების დასაშვებობასთან დაკავშირებით, რომლითაც დასტურდება, რომ საპროექტო სამუშაოები საფრთხეს არ შეუქმნის შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ სიმტკიცეს, მდგრადობას, საიმედოობას, სეისმომედეგობასა და ცეცხლმედეგობას;

მშენებლობის შეტყობინების დროს განმცხადებელს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის/შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს შეტყობინებით განსაზღვრული სამუშაოების წარმოების ინტერესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ უნდა იქნეს ფართის მესაკუთრის მიერ გაცემული მინდობილობა და არა თანხმობა (ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად). ან წარმოდგენილ იქნეს ვლადიმერ ბენდელიანის ფართის მიმართ ამჟამად უფლებამოსილების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (იჯარა, ქირავნობა და ა.შ).

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი შესაძლოა დარჩეს განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.